პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 115 (10812)
პარასკევი
17
მაისი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

## მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოვაწყოთ შემაჯამებელი მეცადინეობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის პოლიტიკური შეგნებულობის, იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

პარტიული პროპაგანდა, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის მთავარ და განმსაზღვრელ უბანს წარმოადგენს, მოწოდებულია იდეურად გამოაწრთოს კომუნისტები, შეაიარაღოს ისინი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა გაგებით. მისი ამოცანაა აამაღლოს კომუნისტების მებრძოლი სულისკვეთება, რათა მათ საკადრისი პასუხი გასცენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, ამხილონ მტრული პროპაგანდის რეაქციული არსი, ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუპირისპირონ ყველაზე ბასრი იარაღი — მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც ყოვლისმძლე ძალას წარმოადგენს.

ცხოვრებამ უკვე დიდი ხანია დაადასტურა იმ დებულების სისწორე, რომ, რაც უფრო მაღალია კადრების იდეურ-თეორიული მომზადების დონე, მით უფრო დიდია მათი აქტივობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მით უფრო წარმატებით სრულდება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პრაქტიკული ამოცანები, და რომ, პირიქით, რევოლუციური თეორიის, მისი ძირითადი საკითხების გვერდის ავლა და შესწავლის უგულებელყოფა იწვევს შეცდომებს მუშაობაში, უპრინციპობას პოლიტიკაში, ჩამორჩენას პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულება მით უფრო შეუწყნარებელია ახლა, როცა კომუნიზმის მტრული ძალების მიერ ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და იდეოლოგიური დივერსიის გაძლიერებასთან დაკავშირებით რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ ლაშქრობაში ჩაებნენ ახალი ჯურის რევიზიონისტები, რომლებიც ცდილობენ რეფორმიზმის პოზიციებიდან შეუტიონ მარქსიზმ-ლენინიზმს და ამით ძირი გამოუთხარონ თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეოლოგიას — სოციალისტურ იდეოლოგიას. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საბჭოთა წყობილებაზე ათასნაირი ცილისწამებებითა და სიცრუის შხამით მოწამლონ მშრომელთა გონება, ზემოქმედება მოახდინონ იდეოლოგიურად ჩამორჩენილ და პოლიტიკურად მერყევ ადამიანებზე და გამოიყენონ ისინი თავიანთი შავბნელი და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ამიტომ პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლა, მისი შემოქმედებითად შესწავლის აუცილებლობა, მტრული იდეოლოგიის რეაქციული არსის მხილება და ულმობლად განადგურება პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 21 აგვისტოს დადგენილებას „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ", რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე. წელს გაცილებით უკეთ არის დაყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის, კერძოდ, ეკონომიური თეორიის პროპაგანდისა და კონკრეტული ეკონომიკის შესწავლის საქმე. თუ გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი იყო 618 ეკონომიური წრე და სემინარი, წელს მათი რიცხვი 1.295-მდე გაიზარდა. ნაყოფიერად მუშაობენ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი ორწლიანი ეკონომიური სკოლები.

მაგრამ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციისა და შინაარსში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, რომელთაგან ყველაზე მთავარია პოლიტიკური განათლების დაბალი იდეურ-თეორიული დონე.

ახალციხის ქვანახშირის № 2 შახტის, № 1 სამშენებლო სამმართველოს, ქედის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, ცხმორისის საშუალო სკოლის, თბილისის კერამიკული კომბინატის და სხვ. პარტორგანიზაციებთან არსებული წრეების და სემინარების მეცადინეობა ტარდება ზერელედ, მსმენელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. ხშირია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში უგულებელყოფილია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საკითხების შესწავლა. მთელ რიგ ეკონომიურ წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა ამოიწურება წმინდა სამეურნეო პრაქტიკული საკითხების განხილვით.

დამოუკიდებლად მომუშავე ბევრი კომუნისტი და მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველ დამოკიდებულებას იჩენს თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისადმი.

პარტიულ პროპაგანდაში არსებულ ამ სერიოზულ ნაკლოვანებებზე ყურადღება გაამახვილა პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების და პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეების რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც ამას წინათ მოეწყო საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე ახლა, როცა სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში დასასრულს უახლოვდება. ამოცანა ახლა ის არის, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ შემაჯამებელი მეცადინეობის ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოწყობისათვის.

შემაჯამებელი მეცადინეობა პარტიული განათლების უაღრესად პასუხსაგები მომენტი, მთელი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ერთგვარი დასკვნითი ანგარიშია. ამ დროს საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს, თუ რა მოგვცა ახალი მიმდინარე სასწავლო წელმა, რამდენად ამაღლდა მსმენელთა მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონე და გაფართოვდა მათი პოლიტიკური ჰორიზონტი.

შემაჯამებელი მეცადინეობა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და ტრადიციად იქცა, უბრალო მორიგი კამპანია როდია. კარგად მომზადებული და ჩატარებული შემაჯამებელი მეცადინეობა მსმენელთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლების სერიოზული საშუალებაა. შემაჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელი ვალდებულია კოლექტივის წინაშე მონაწილეობა მიიღოს თეორიული საკითხების განხილვაში, ეს კი ზრდის მის პასუხისმგებლობას საკუთარი თეორიული დონის ამაღლებისათვის. მაგრამ შემაჯამებელი მეცადინეობის მნიშვნელობა მარტო მსმენელთა ცოდნის შემოწმებით როდი ამოიწურება. იგი ამავე დროს ხელს უწყობს განვლილი მასალის გამეორებას და მსმენელების მიერ მიღებული ცოდნის განმტკიცებას.

პოლიტსკოლებში, ეკონომიურ სკოლებში და წრეებში უნდა მოვაწყოთ 1-2 შემაჯამებელი მეცადინეობა ყველაზე უფრო აქტუალურ თეორიულ საკითხებზე.

პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტების უშუალო მონაწილეობით უნდა შეადგინონ შემაჯამებელ მეცადინეობაზე გასაუბრებლის გეგმა, რომელშიც შეტანილ იქნება ძირითადი საკვანძო საკითხები. მსმენელებს დროულად უნდა ეცნობოთ მეცადინეობის მოწყობის ვადები და გასაუბრებაზე გათვალისწინებული საკითხები, რათა კარგად მოემზადონ შემაჯამებელი მეცადინეობისათვის. მიზანშეუწონელია შემაჯამებელი მეცადინეობების ზედიზედ ჩატარება. ასეთი აჩქარება მხოლოდ ზიანს აყენებს საქმეს.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში გამოცდები ეწყობა პარტიის ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, აგრეთვე ეწყობა თეორიული გასაუბრებანი კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე.

ამასთან პარტიის ისტორიაში გამოცდების მიღების დროს გამოყენებულ უნდა იქნას სტატიები და მასალები, რომლებიც ქვეყნდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით.

დამოუკიდებლად მომუშავეთათვის მიზანშეწონილია მოეწყოს შემაჯამებელი თეორიული კონფერენციები, ინდივიდუალური საუბრები აქტუალურ თეორიულ საკითხებზე. სწორად იქცევიან პარტიული კომიტეტების ის მუშაკები, რომლებიც რაიკომსა და ქალაქკომში გასაუბრებაზე იწვევენ უმთავრესად ხელმძღვანელ მუშაკებს, პარტიულ და საბჭოთა აქტივს. ასეთი პრაქტიკა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, აძლიერებს კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმისადმი კონტროლს, ზრდის მათი პასუხისმგებლობის გრძნობას და საშუალებას იძლევა ნამდვილად შევამოწმოთ ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მდგომარეობა.

სასწავლო წლის დამთავრებისას უნდა გაიმართოს მსმენელთა კრება პარტიული ორგანიზაციის მდივნისა და რაიკომის ან ქალაქკომის წარმომადგენლის მონაწილეობით. ამ კრებაზე განხილულ იქნება მიმდინარე სასწავლო წლის შედეგები და დაისახება ღონისძიებანი. სასწავლო წლის შედეგები განხილულ უნდა იქნას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, პროპაგანდისტების, კონსულტანტების სარაიონო და საქალაქო თათბირებზე და ქალაქკომის, რაიკომის ბიუროზე.

სასწავლო წლის შედეგების განხილვის დროს ანალიზი უნდა გაუკეთდეს პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციისა და შინაარსში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და დაისახოს ღონისძიებანი, თუ როგორ ავამაღლოთ კომუნისტების პოლიტიკური განათლება პარტიის თანამედროვე ამოცანების დონემდე. ამასთან ერთად მკაცრად უნდა გავაკრიტიკოთ ის კომუნისტები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრება სრულიადაც არ ნიშნავს პროპაგანდისტული მუშაობის რაიმე შესუსტებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები ზაფხულის პერიოდში მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაშლისათვის. ამ მხრივ დიდი ამოცანები აკისრიათ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ რესპუბლიკურ საზოგადოებას და მის ადგილობრივ განყოფილებებს, რომელთა როლი და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო ამაღლდა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გადაეცათ კულტურის სამინისტროს ლექციური პროპაგანდის ფუნქციები. იდეურად გამართული, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები ეხმარება მშრომელებს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების ღრმად გაგებაში, თეორიული ცოდნის შეძენაში, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაში.

სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრება და ზაფხულის განმავლობაში ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაშლა დიდად არის დამოკიდებული პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებზე, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ კომუნისტებისა და უპარტიო ამხანაგების პოლიტიკური განათლების ცენტრს.

პარტიულმა კომიტეტებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები ზაფხულის განმავლობაში პროპაგანდისტთა კადრების გადასამზადებლად. ერთთვიან კურსებზე გასაგზავნად შერჩეულ უნდა იქნან ისეთი ამხანაგები, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ წრეებში, სკოლებსა და სემინარებში მეცადინეობის მაღალი დონე.

პარტიული პროპაგანდის იდეური დონის შემდგომი ამაღლება, ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, საბჭოთა ხალხისათვის უცხო შეხედულებათა ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა კომუნისტური მშენებლობის აუცილებელი პირობაა.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1957 წლის 28 მაისს ქ. თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1957 წ. 16 მაისი.

## საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მიტინგი

15 მაისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მეგობრობის მიტინგი. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები. სტუმრებს შორის იყვნენ მთელი რიგი საელჩოების მეთაურები და თანამშრომლები.

დღის 12 საათზე პრეზიდიუმში შემოდიან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა და მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები და მათთან ერთად ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი. დამსწრენი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით ხვდებიან მათ.

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, რომელიც მიტინგს თავმჯდომარეობს, სიტყვას აძლევს 1-ლი სახელმწიფო საკისართა ქარხნის მუშა-მხეხავს ი. ს. კუჩკოვს, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის ტრადიციულ ურღვევ მეგობრობაზე. მოსკოვის მშრომელთა სახელით იგი გულითად მეგობრულ სალამს უძღვნის მონღოლ ხალხსა და მის მთავრობის დელეგაციას.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ი. ა. ორლოვმა, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ი. ბეკასოვამ.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, რომლებსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მეგობრობის მიტინგი იყო მკაფიო დემონსტრაცია საბჭოთა ადამიანების მეგობრული გრძნობებისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებისადმი. (საკდესი).

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ერთობლივ განცხადებას და განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ

15 მაისს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ერთობლივ განცხადებას და განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ.

ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა.

განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ. (საკდესი).

## დარბაზობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 15 მაისს კრემლის დიდ სასახლეში გამართა დარბაზობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ — დელეგაციის მეთაური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და დიდი ეროვნული ხურალის პრეზიდიუმის წევრი დ. დამბა, დელეგაციის წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

დარბაზობის დროს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ი. ცედენბალმა და დ. დამბამ მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## მოსკოვიდან გაემგზავრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

16 მაისს „ტუ-104" თვითმფრინავით სამშობლოში გაემგზავრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, მონღოლეთის მთავრობის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა, ვ. მ. მოლოტოვმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ა. ა. გრომიკომ, მ. ა. ევსეენკომ, ა. გ. ზვერევმა, პ. ფ. ლომაკომ, ვ. ვ. მაცკევიჩმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ს. მოსკალენკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე იყო ასობით მოსკოველი — ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

მონღოლი სტუმრები გააცილეს სსრ კავშირში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა, საელჩოების თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

მონღოლეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. შესრულებულ იქნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა ხელმძღვანელები და გამცილებლები გულთბილად გამოეთხოვნენ მონღოლ მეგობრებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ი. ცედენბალმა მიკროფონთან სიტყვა წარმოთქვა.

* * *

დილის 10 საათზე საჰაერო ხომალდი ჰაერში ავიდა და აღმოსავლეთისაკენ აიღო კურსი. (საკდესი).

## დ ე პ ე შ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მთელ დიდ საბჭოთა ხალხს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის. ამ სასიხარულო ამბავს მონღოლი ხალხი უდიდესი აღმავლობით შეხვდა. მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ დადასტურდა მონღოლი და საბჭოთა ხალხების ტრადიციული მეგობრობის სიმტკიცე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის ძალა, დიდი და პატარა ხალხების თანასწორუფლებიანობის დიადი ლენინური პრინციპების, ურთიერთდახმარებისა და ძმური მეგობრობის პრინციპების გამარჯვება. ამ მოლაპარაკებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ხალხების მეგობრობის და მათი მჭიდრო ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ხელს შეუწყობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებასა და აყვავებას. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა და მონღოლი ხალხების მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს დიდმა ლენინმა და მონღოლი ხალხის სახელოვანმა შვილებმა სუხე-ბატორმა და ჩოიბალსანმა, ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და აყვავების გარანტია იყო და არის. ამიტომ მონღოლი ხალხი თვალის ჩინსავით უფრთხილდება ამ მეგობრობას, რომელიც განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის მიწაწყლის საუკეთესო შვილების სისხლმა ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

უცხადებს რა უსაზღვრო მადლობის გრძნობებს საბჭოთა მთავრობას დიდსულოვანი დახმარებისათვის, რაც მან ჩვენს ქვეყანას გაუწია სოციალისტურ მშენებლობაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებენ მოძმე საბჭოთა ხალხს ახალ-ახალ სახელოვან წარმატებას კომუნიზმის მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

| | | |
|---|---|---|
| **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი** | **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო** | **მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** |

1957 წლის 15 მაისი, ქალაქი ულან-ბატორი.

## ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი პოლონელ ჟურნალისტებთან

15 მაისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ხრუშჩოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჟურნალისტთა დელეგაცია გაზეთ „ტრიბუნა რაბოტნიჩას" რედაქტორის ამხ. იანიურეკის მეთაურობით, აგრეთვე პოლონურ გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუსა" და პოლონეთის პრესის სააგენტოს მუდმივი კორესპონდენტები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

მეგობრული საუბრის მსვლელობაში, რომელმაც დაახლოებით სამ საათს გასტანა, ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა პოლონელ ჟურნალისტთა კითხვებზე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

პოლონელმა ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს ნ. ს. ხრუშჩოვს საბჭოთა კავშირში პოლონელ ჟურნალისტთა დელეგაციის მოწვევისათვის და მათთან გულთბილი საუბრისათვის. (საკდესი).

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

# პირობა დადეს, შემდეგ დაივიწყეს...

სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდების, ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის ნაცადი მეთოდია. ამიტომ ბუნებრივია, როცა ამბობენ: ვალდებულება იკისრე — კიდეც შეასრულე იგი! ეს მოთხოვნა წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის ახალი როდია. კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს არაერთხელ სმენიათ ამის შესახებ კრებებზე თუ რაიონულ თათბირებზე. ყოველთვის უკისრიათ სერიოზული ვალდებულებანი და ბევრ შემთხვევაში კარგად მოწყობილ ამ შეჯიბრებას კარგი შედეგები მოჰყოლია. ასეთი შეჯიბრება, ნაკისრი ვალდებულებები წინა წლებშიც ჰქონდათ წყალტუბოელებს.

მაგრამ როგორია მდგომარეობა წელს? უნდა ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პირველი ნაბიჯები კარგია. უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს მეტი ყურადღება მიექცა; მარტის შუა რიცხვებში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა მოიწონა წითელწყაროელთა თაოსნობა, საქმიანად გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას იმის შესახებ, რომ ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. შემდეგ კი ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის საპასუხოდ. წყალტუბოელებმა იკისრეს წელს სამშობლოს მისცენ 1.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 4.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 15 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 ცენტნერისა, 350 ჰექტარიდან თვითეულზე მიიღონ 100 ცენტნერი პამიდორი, 100 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე — 50 ცენტნერი კიტრი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 800 ლიტრი რძე ნაცვლად 750-სა. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ყურძნის, ხილის, აბრეშუმის პარკის და სხვა დარგების აღმავლობისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისა და დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად წყალტუბოელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს წულუკიძელები. აპრილის პირველ რიცხვებში წყალტუბოელთა დელეგაცია ეწვია წულუკიძელებს. წულუკიძეში მოწვეულ მოწინავეთა თათბირზე გამოწვევა მიიღეს. რაიონებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაებნენ ცალკეული კოლმეურნეობებიც. წყალტუბოს რაიონის 5 კოლმეურნეობამ გამოიწვია წულუკიძის რაიონის 5 კოლმეურნეობა, კვლავ წარმოითქვა სიტყვები, გაფორმდა ვალდებულებები და გაეგზავნა წულუკიძელებს...

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. მაგრამ წულუკიძელებმა თავიანთი ვალდებულებების შესახებ წყალტუბოელებს რატომღაც არაფერი არ აცნობეს.

ასეთივე ბედი ეწია წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის, გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის, ცხუნკურის შვერნიკის სახელობის, ქვილიშორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მიერ გაგზავნილ შეჯიბრების ვალდებულებებს. საინტერესოა, რას იტყვიან ამის შესახებ წულუკიძის რაიონის გუბის, ახალშენის, ბესიაურის, ივანდიდის კოლმეურნეობათა გამგეობები! ამ საქმის ვითარებით არც წყალტუბოელები დაინტერესებულან.

წყალტუბოს რაიონში კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები ერთმანეთთან ჩაებნენ შეჯიბრებაში, საყურადღებო ვალდებულებებიც იკისრეს. მაგრამ ფორმალიზმმა აქაც იჩინა თავი. ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ დაინტერესებულან გაეგოთ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებები. ეს მაშინ, როცა პირველი ეტაპი იყო საგაზაფხულო სამუშაოები.

ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ არათუ ნაკისრი ვალდებულებები, არამედ გეგმაც ვერ შეასრულა. მაგალითად, 11 მაისისათვის 683 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურებიდან დათესილი იყო მხოლოდ 450 ჰექტარამდე, აქედან სიმინდი უნდა დაეთესათ 420 ჰექტარი, ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 335 ჰექტარი.

ავიღოთ ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. აქ კარგად არის გაფორმებული თვით კოლმეურნეობაში გაშლილი შეჯიბრების ვალდებულებები. მაგრამ დღემდე არავის მოჰგონებია გზადაგზა შეემოწმებინა შესრულების მიმდინარეობა. ამ საქმის ინიციატორი, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაცია უნდა იყოს.

ეს კოლმეურნეობა ჩამორჩა საგაზაფხულო თესვაში. მას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება აგროტექნიკურ ვადებში დაემთავრებინა სიმინდის თესვა 440 ჰექტარზე. ფაქტიურად ეს ვადები ამოიწურა, დასათესი კიდევ დარჩა ას ჰექტარამდე. ამავე სოფლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში კარგ ღონისძიებებს სახავენ და საერთოდ ცუდად როდი მუშაობენ, მაგრამ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეს ბოლომდე არ მისდევენ.

აქაურმა კოლმეურნეებმა ვერ შეასრულეს დადებული პირობა. 470 ჰექტარიდან სიმინდი კიდევ დასათესია 100 ჰექტარზე მეტი. მათი ვალდებულება ითვალისწინებდა კვადრატულ-ბუდობრივად დაეთესათ 40 ჰექტარი სიმინდი, ფაქტიურად არცერთი ჰექტარი არ დაუთესიათ. მტს-თან დადებული ხელშეკრულებით მექანიზატორებს ამ კოლმეურნეობაში სიმინდი უნდა დაეთესათ 200 ჰექტარზე. ამ ვალდებულების შესრულება თითქმის ჩაიშალა. კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 23 თებერვალს მიიღო დადგენილება სოფელ მაღლაკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამოწვევის შესახებ. მაგრამ აღნიშნული დადგენილება კოლმეურნეობის კანტორას არ გასცილებია და შესრულების შემოწმებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

როცა ეცნობით მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს, ერთი შეხედვით კარგი წარმოდგენა შეგექმნებათ. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები განიხილავენ და სახავენ ღონისძიებებს შეჯიბრების უკეთესად წარმართვისათვის. მაგრამ როგორც სხვაგან, ისე აქაც შესრულების შემოწმებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. აქაურმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ (მდივანი ლ. დოლაბერიძე) კარგი ინიციატივა გამოიჩინა — შეჯიბრებაში გამოიწვია წულუკიძის რაიონის ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირლები და ახალგაზრდობა. შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები აცნობეს, და აქ დასვეს წერტილი. ასეთი ამბავი სხვებსაც ემართებათ. ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შესანიშნავი ინიციატივა, დასახული კარგი ღონისძიებები — საქმის ერთი მხარეა. მთავარია მათი მთლიანად განხორციელება. აი რა არის წარმატების საწინდარი.

გავეცნოთ წყალტუბოს მტს-ის, კერძოდ, პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ამხანაგები უნარიანად ჰკიდებენ ხელს მინდობილ საქმეს. მაგრამ არასასურველი ის არის, რომ აქაც სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას ფორმალიზმის ელფერი აქვს. ავიღოთ თუნდაც შარშანდელი ფაქტი. ამ მტს-ის კოლექტივი შეჯიბრებაში იყო ჩაბმული ქუთაისის მტს-ის კოლექტივთან. არც რაიონული ჟიური, არც სხვა ორგანიზაციები არ დაინტერესებულან იმით, თუ როგორ შესრულდა მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები ან ვინ გაიმარჯვა! ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ ეს მტს-ი წელსაც ეჯიბრება ქუთაისის მტს-ს. წყალტუბოს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში მოწყობილი შეჯიბრების მიმდინარეობა სისტემატურად არ მოწმდება და სამუშაოთა პერიოდების მიხედვით იშვიათად ხდება ჩამორჩენილებისა და დაწინაურებულების გამოვლენება. ხუთი სატრაქტორო ბრიგადიდან ორში არ გამოდის საველე გაზეთები.

მტს-მა თავიდანვე დაბალი ტემპი აიღო საგაზაფხულო სამუშაოებში. შემდეგ ამინდიც გაუარესდა. კოლმეურნეობებში ჩამორჩენა საგრძნობი გახდა. ხელშეკრულებით კოლმეურნეობებში მტს-ს სიმინდი უნდა დაეთესა 1.400 ჰექტარი, 10 მაისისათვის დათესილი იყო 646 ჰექტარი, ხვნის დავალებაც არ შეუსრულებია.

მეცხოველეობაში მიმდინარე სამეურნეო წლის 7 თვეში რაიონში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 344 ლიტრი რძე, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8 ლიტრით ნაკლები. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში ენერგიულად არ არიან ჩაბმული სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ეს სამართლიანად აღინიშნა ამას წინათ სპეციალისტების რაიონულ კონფერენციაზე.

სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისა და ქმედითობის საქმეში ეს ნაკლოვანებანი რომ არ ყოფილიყო, ცხადია წყალტუბოელებს საგაზაფხულო სამუშაოებში, მეცხოველეობაში უკეთესი წარმატებები ექნებოდათ.

მართალია, ცუდმა ამინდმა გავლენა იქონია საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპზე, მაგრამ ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ამ სამუშაოებში თავიდანვე აღებული დაბალი ტემპი, არაორგანიზებულობა. შეიძლება ითქვას, რომ ქვილიშორის და ცხუნკურის კოლმეურნეობებს განსხვავებული ამინდი როდი ჰქონიათ, ვიდრე მეზობელ კოლმეურნეობებს (გუმბრის ვოროშილოვის სახელობის, წყალტუბოს მალენკოვის სახელობის და ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობები), მაგრამ მათ უკეთესად მოაწყეს შრომა და სიმინდის თესვის დავალებები ვადამდე შეასრულეს. ცუდად არ მიმდინარეობს სხვა სამუშაოებიც.

პარტიის წყალტუბოს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ვალია ჩამორჩენილი კოლმეურნეობები აიყვანონ მოწინავეთა დონემდე, დაძლიონ ჩამორჩენა საგაზაფხულო კულტურების თესვაში, ჩაის მოსავლიანობაში; მთელი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა პირნათლად შესრულდეს ნაკისრი ვალდებულებები.

**ნ. ჯანჯღავა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი ი. ელკანიშვილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ხარატი ი. ელკანიშვილი მუშაობის დროს.
ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

## მოსკოველ და ბათუმელ მენავთობეთა შეჯიბრება

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ ბათუმელმა მენავთობეებმა მოსკოვის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან მიიღეს წერილი, რომელშიც მოსკოველები გამოთქვამდნენ სურვილს ქართველ მენავთობეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. ბათუმელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მოსკოველთა ინიციატივას.

მალე ბათუმელ მენავთობეებს სტუმრად ეწვია ქარხნის მუშაკთა ჯგუფი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ლ. ბასანსკაიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო გაეფორმებინათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

სამი დღის განმავლობაში სტუმრები ეცნობოდნენ ქარხნის მუშაობას. ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბიტუმის წარმოებით, გაეცნენ ბათუმელთა ჩქაროსნული მუშაობის მეთოდს. ამასთან მოსკოველებმა ბათუმელ თანამოსაქმეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ტექნოლოგიურ საამქროთა ავტომატიზაციის დარგში.

მოსკოველ და ბათუმელ მენავთობეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

## ორი დაწინაურებული საწარმო

სოხუმი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის და საზღვაო ნავსადგურის კოლექტივებმა. თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში 27 აპრილისათვის გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა. გადაჭარბებით შეასრულა ტვირთგადაზიდვის ოთხი თვის დავალება სოხუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმაც. ორივე ამ კოლექტივს გადაეცა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები.

## დავძლიოთ ჩამორჩენა საგაზაფხულო სამუშაოებში

„კომუნისტის" რეიდი

ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ხვნა-თესვა, თამბაქოს და კარტოფილის რგვა, ვენახის სამუშაოები. ბევრმა კოლმეურნეობამ კარგად გაითვალისწინა წლევანდელი დაგვიანებული გაზაფხულის თავისებურებანი და მაქსიმალურად გამოიყენა დრო, მოკლე ვადებში დათესა საგაზაფხულო კულტურები.

მიუხედავად ამისა, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები, დაბალია მათი ხარისხი. სიმინდის თესვის დაწყება დააგვიანეს ხიხაძირის ბულგანინის სახელობის, თხილვანის სტალინის სახელობის, დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებში, ვერნების კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში", რაქვთის კოლმეურნეობა „ახალ გზაში". ამასთან მნიშვნელოვანი ფართობები დათესეს აგროწესების დარღვევით. სოფელ ღორჯომის ხრუშჩოვის სახელობის, ოქრუაშვილების XIX პარტყრილობის სახელობის, დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის, ტუნაძეების წითელი ოქტომბრის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში ნიადაგის ხვნის სიღრმე 15-16 სანტიმეტრს არ აღემატება ნაცვლად 23-25 სანტიმეტრისა.

რაიონში მწვავედ იგრძნობა სიმინდის კონდიციური თესლის ნაკლებობა. შარშან თოვლში მოჰყვა სიმინდის ყანები და მოსავლის დიდი ნაწილი დაიკარგა ან დაზიანდა. ამის შედეგად ბევრ კოლმეურნეობას თესლი არა აქვს. დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის, ტუნაძეების წითელი ოქტომბრის სახელობის, კორტოხის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს სიმინდის თესლი აკლიათ, ხოლო რაც აქვთ, ისიც დაბალხარისხიანია, ბაკოს მაო ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობას კი იგი სრულებით არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს შექმნილი მდგომარეობა, არ მიიღეს გადამჭრელი ზომები თესლის შესაძენად და საქმე ფაქტიურად თვითდინებაზე მიუშვეს. უმოქმედობას იჩენს თესლის კონტროლის რაიონული ლაბორატორია (გამგე ნ. ბაკურაძე). იგი ნაკლებ კონტროლს უწევს კოლმეურნეობებს, რის შედეგადაც ბევრგან შეუმოწმებელი თესლი ითესება.

სერიოზული ნაკლოვანებებია თამბაქოს ჩითილების მოვლა-პატრონობასა და თამბაქოს რგვაში. მართალია, კოლმეურნეობათა უმრავლესობა უზრუნველყოფილია სტანდარტული ჩითილებით, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდი მოვლის შედეგად ნერგი დღემდე შემოუსვლელია, ხოლო აქაიქ დასარევლიანებულია. ოქრუაშვილების XIX პარტყრილობის სახელობის (სანერგის გამგე ქ. ანანიძე) და სხვა კოლმეურნეობებში ჩითილი სარეველა ბალახებით არის გადავლილი და დაკნინებულია. დაბალია თამბაქოს რგვის ტემპიც. საგულისხმოა, რომ შარშან თამბაქოს მოსავლის დიდი ნაწილი თოვლში მოჰყვა და დაიკარგა. ეს ფაქტი კარგად უნდა გაეთვალის[illegible] და თამბაქოს რგვა ადრევე დაეწყოთ. მაგრამ ასე როდი მოხდა. მაგალითად, სოფელ ღორჯომის ხრუშჩოვის სახელობის, დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებში ჩითილები ჰქონდათ, მაგრამ რგვის სამუშაოები დაგვიანებით დაიწყეს.

შესრულებული არ არის სასუქების მინდვრად გატანის გეგმაც. გასაზიდავია კიდევ 10 ათასამდე ტონა ორგანული და ასობით ტონა მინერალური სასუქები. სოფლმომარაგების საწყობიდან მთელ რიგ კოლმეურნეობებს მინერალური სასუქი არ გაუტანიათ.

რაიონის კოლმეურნეობებს აკლიათ გუთნები და სხვა იარაღები. წელს შემოტანილი 150 ცალი გუთანი დაბალხარისხოვანი და მთაგორიან პირობებში გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ბევრ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, სუსტია შრომის დისციპლინა და აღრიცხვა. დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობისა და ღურტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეებისა და კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოსვლის აღრიცხვა არეულია. აღნიშნულ და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებს არ ავსებენ. განა ამის შემდეგ საკვირველია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში არსებული დიდი ჩამორჩენა? რაიონის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავს იმართლებს — გვალვის გამო სამუშაოთა შესრულება ძნელდებაო, მაშინ როცა რაიონში არსებული სარწყავი წყლის რესურსები თითქმის სრულიად არ არის გამოყენებული, იქაც კი, სადაც ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ეს სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, განსაკუთრებით კი მისი სოფლის მეურნეობის სამმართველო (უფროსი ო. შავაძე) ზერელედ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობების გამგეობებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ღრმად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობას. თუმცა ადგილებზე ხშირად დადიან, მაგრამ კოლმეურნეობებს ქმედით დახმარებას ვერ უწევენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამას წინათ რაიკომის ბიუროს მიერ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხზე მიღებული დადგენილება ფაქტიურად შეუსრულებელი დარჩა, მდგომარეობა უცვლელია. პარტიის ხულოს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩასატარებლად, იბრძოლონ ჩამორჩენის დასაძლევად.

რეიდის მონაწილენი:

**გ. აროშიძე,**
გაზეთ „კოლექტიური შრომის" რედაქტორი,

**დ. მგელაძე,**
გაზეთ „საბჭოთა აჭარის" საკ. კორესპონდენტი,

**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ვიბრძვით უხვი მოსავლისათვის

წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად ჩვენმა კოლმეურნეებმა ფართოდ გააჩაღეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს: 110 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 2.500 კილოგრამისა; 175 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე — 800 კილოგრამის ნაცვლად 850 კილოგრამი რძე; მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 18 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად შარშან მიღებული 10 ცენტნერისა.

წელს დროულად დავამთავრეთ ჩაის ბუჩქების გადაბარვა ფოსფოროვანი სასუქის და კალიუმის მარილის შეტანით. დავიწყეთ ჩაის კრეფაც.

სიმინდის თესვა 194 ჰექტარზე უკვე დავამთავრეთ, ავითვისეთ 25 ჰექტარი ყამირი. მინდვრად გავიტანეთ 270 ტონა ნაკელი. ამ საქმეში მტს-იც კარგად დაგვეხმარა.

ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, რომ წელს მოვიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი.

**შ. გუჩუა,**
წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს ვენახების შეწამვლა. ამ საქმეში კოლმეურნე მევენახეებს ქმედითად ეხმარებიან წითლის მტს-ის მექანიზატორები. სურათზე: ტრაქტორისტი თ. ტოკლიკიშვილი აწარმოებს ვენახების მექანიზებულ შეწამვლას კოლმეურნეობის მევენახეობის პირველ ბრიგადაში.
ფოტო შ. გოქაძისა.

# შახტი აღმავლობის გზაზე

წელს, 13 იანვარს გაზეთმა „ტყიბულის მაღაროელმა" გამოაქვეყნა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის პატრიოტული მოწოდება. შახტის კოლექტივმა მოუწოდა ყველა ტყიბულელ მეშახტეს ჩაბმულიყვნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ფართოდ გაეჩაღებინათ ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოსაღებად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

თავის მხრივ ინიციატორებმა ვალდებულება აიღეს ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება შეასრულონ 102 პროცენტით, პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 2.000 ტონა, მეშახტის დღის აღსანიშნავად — 5.000 ტონა, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის — 6.500 ტონა ქვანახშირი, ახალი სამთო ველების მომზადების მიზნით გაიყვანონ 4.200 გრძივი მეტრი ძირითადი სამთო-მოსამზადებელი გამონამუშევარი, შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულზე მეტად გაადიდონ 2 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 3 პროცენტით და ა. შ.

იანვარ-თებერვლის მუშაობის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ შახტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდა, მაგრამ ჩამორჩა შრომის ნაყოფიერების დავალების შესრულებაში. ამაში ბრალი მიუძღოდა მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს, რომელმაც იანვარში და თებერვალში ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების საგეგმო დავალებაც. თებერვალში ამ უბნის თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 42,3 პროცენტით შემცირდა. ცხადია, ამაღლდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, რის შედეგადაც უბანმა შახტს 32.925 მანეთის ზარალი მიაყენა და თანაც სამშობლოს 3.226 ტონა ქვანახშირი დააკლო.

უბნის ჩამორჩენის საკითხი შახტის მთელი კოლექტივის მსჯელობის საგანი გახდა.

როგორც გამოირკვა, ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სამთო გამონამუშევრების შენახვას. ზოგიერთი სამთო გამონამუშევარი, უმეტესად საქვესართულო შტრეკები, სამთო წნევის შედეგად მნიშვნელოვნად შევიწროვდა, რის გამო ფერხდებოდა ქვანახშირის გამოზიდვა და სანგრევებში ხის სამაგრი მასალის შეტანა. უბნის უფროსი ს. ჟუჟულავა ნაცვლად იმისა, რომ წესრიგში მოეყვანა გამონამუშევრები, მიმართავდა მუშაობის არასწორ მეთოდს — ადიდებდა მასალის მზიდავთა რიცხვს. ეს იწვევდა კომპლექსური ბრიგადის გაბერვას, დამხმარე სამუშაოებზე დასაქმებული მუშახელის რიცხვის ზრდას. სწორედ ეს იყო უბანში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი შემცირების მიზეზი. არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ შახტის ხელმძღვანელობამ დასახა ღონისძიება ჩამორჩენის გამოსასწორებლად. გაძლიერდა გადამაგრების სამუშაოთა ტემპი, აღადგინეს 150 და 175 ჰორიზონტის საქვესართულო შტრეკები, წესრიგზე მოიყვანეს წყალგამშვები თხრილები. კომპლექსურ ბრიგადებს გამოაკლდა ზედმეტი მუშახელი. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით მარტში უბნის კოლექტივმა 109,9 პროცენტით გაანაღდა ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება, გეგმასთან შედარებით 8,7 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

შახტის მიღწევებში უდიდესი წვლილი შეაქვთ შრომის ნოვატორებს, რაციონალიზატორებს, გამომგონებლებს. ნოვატორმა მნგრეველმა ი. ორჯონიკიძემ შეამჩნია, რომ კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც ევალებოდათ საექსპლოატაციო ველში ქვანახშირის ამოღება და დაჭრითი სამუშაოების წარმოება, მეტ ყურადღებას ქვანახშირის ამოღებას აქცევდნენ. ამის მიზეზი იყო ანაზღაურების არსებული არასწორი სისტემა, რომლის მიხედვითაც ბრიგადის მუშაობის ძირითად მაჩვენებლად ითვლებოდა მხოლოდ მონგრეული ქვანახშირის რაოდენობა, ხოლო დაჭრითი სამუშაოების წარმოებაზე მატერიალური დაინტერესების პრინციპი არ იყო მხედველობაში მიღებული. ეს ანელებდა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოების ტემპს, საფრთხეს უქმნიდა შახტს. ი. ორჯონიკიძემ დააყენა საკითხი უბანში დაჭრითი სამუშაოების გაძლიერების შესახებ. მან მოითხოვა ამ სამუშაოზე გაეგზავნათ ყველაზე გამოცდილი გამყვანები. მათთვის ნორმის შესრულების ძირითადი საზომი უნდა ყოფილიყო არა მონგრეული ქვანახშირი, არამედ სამთო გამონამუშევართა გაყვანა მეტრაჟის მიხედვით. ნოვატორის წინადადება მიღებულ იქნა, რამაც დიდად დააჩქარა მოსამზადებელი სამუშაოების წარმოების ტემპი.

სტალინის სახელობის შახტის გეოლოგმა ო. უკლებამ და მთავარმა ინჟინერმა გ. მხითარიანმა შემოიტანეს წინადადება ქვანახშირის ახალი ფენის დამუშავების დაწყების შესახებ. მათი აზრით, ეს ფენა მოგვცემს ისეთ ენერგეტიკულ ქვანახშირს, რომლის გამოყენება შეიძლება შახტის შინახარჯების დასაკმაყოფილებლად. წინადადება მიღებულ იქნა. ახლა დაჭრითი წესით მიმდინარეობს ამ ფენის საექსპლოატაციოდ მომზადება. ამ რეზერვის ამოქმედება მომავალში დიდად გაზრდის ქვანახშირის ამოღებას, ხელს შეუწყობს აღებულ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებას.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის დაძაბულმა შემოქმედებითმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. პირველ კვარტალში მოპოვებული მაჩვენებლებით შახტმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა მეორე ფულადი პრემია. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა აპრილშიც (თვიური დავალება 102,1 პროცენტით შესრულა), ხოლო 1 მაისისათვის, ნაცვლად ნაკისრი 2.000 ტონისა, სამშობლოს გეგმის გადამეტებით ვალდებულებათა ანგარიშში მისცა 3.706 ტონა ქვანახშირი. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად უკვე დაზოგილია ნახევარმილიონზე მეტი მანეთი. მიღწეული წარმატებებით აღფრთოვანებული კოლექტივი მაისში მეტი ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

პ რ ე ს ი ს  მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

# ალვზარდოთ მშრომელები ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით

გორის საწარმოებში და მშენებლობებზე ქართველებთან ერთად თავდადებით და მეგობრულად შრომობენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ამასთან ქალაქის მრავალი საწარმოს კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში არის ჩაბმული მოძმე რესპუბლიკების საწარმოების მშრომელებთან. ისინი ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის თავიანთ გამოცდილებას, აქვთ მიწერ-მოწერა, დელეგაციების მიმოსვლა. ხალხთა ამ მეგობრობის საკითხების გაშუქებას სერიოზულ ყურადღებას აქცევს გორის საქალაქო გაზეთი „სტალინელი". იგი ზრუნავს იმისათვის, რომ მშრომელები აღზარდოს ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის სულისკვეთებით. გაზეთის ფურცლებზე მრავალი კარგად გაკეთებული, შინაარსიანი წერილი და კორესპონდენცია იბეჭდება იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად მათი დარაზმვისათვის. საინტერესო ფაქტებია მოყვანილი გასული წლის 13 დეკემბერს დაბეჭდილ წერილში „გავაძლიეროთ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა". მასში ლაპარაკია იმ მუშაობაზე, რასაც ქალაქის საწარმოებში ეწევიან ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ბამბეულის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია. მაგრამ ამ მნიშვნელოვან საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ № 3 სამშენებლო ტრესტის, გორვაჭრობის, რკინიგზის სადგურის და ზოგიერთ სხვა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. გაზეთი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ და სწორად დაასკვნის, რომ მშრომელთა ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის ბრძოლა თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

გაზეთი „სტალინელი" სისტემატურად აძლევს გაშლილ გვერდებს, წერილებსა და კორესპონდენციებს აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელთა შრომითი თანამეგობრობის შესახებ. მასში დაბეჭდილი მრავალი მასალა მკითხველებს მოუთხრობს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ამ რესპუბლიკების ცალკეულ საწარმოთა კოლექტივები, კულტურის მუშაკები კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გაზეთის ორი გაშლილი გვერდი საერთო სათაურით „ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია". გვერდში დაბეჭდილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან სომხეთის სსრ დედაქალაქის ერევნის მშრომელთა მიღწევებზე, მათს შრომაზე პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, ქართველ თანამოძმეებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის. აი რას წერს სომხეთის ელექტრო ქარხნის დირექტორი ვ. მინასიანი:

> „...ჩვენს წარმატებებს ხელს უწყობს საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობა, მოძმე რესპუბლიკების და ქალაქების დახმარება. სომხეთის ელექტროქარხნის მიერ გამოშვებული მანქანების მრავალი დეტალი გაკეთებულია რუსთავის ფოლადისაგან. ჩვენი ქვაბების საცეცხლურებში კარგად ანთია ტყიბულის ქვანახშირი. არც ჩვენ ვართ ვალში ქართველი ძმების წინაშე. ჩვენ მათ ვუგზავნით პირველი კლასის მანქანებს, მოწყობილობასა და სხვა პროდუქციას".

„ორი მოძმე რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრება" — ამ რუბრიკით გაზეთი ბეჭდავს მასალებს აზერბაიჯანის სსრ საბირაბადის რაიონის მეპამბეებსა და გორის ბამბეულის კომბინატის ფეიქრებს შორის მიწერ-მოწერის შესახებ. აზერბაიჯანელი ნედლეულის მომწოდებლები და ქართველი ფეიქრები ჩაბმული არიან ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. გაზეთის საშუალებით გორელი მოწინავე მქსოველი დ. ბაღდუაშვილი, მრთველი ე. სამადაშვილი აზერბაიჯანელ მეგობრებს წერენ თავიანთ წარმატებებზე, პერსპექტივებზე.

„ინტერნაციონალური ოჯახი" — ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკია ბამბეულის კომბინატის ახალგაზრდების მეგობრობისა და მათი შრომითი საქმიანობის შესახებ.

> „კომბინატის კოლექტივი ინტერნაციონალურია, — წერს გაზეთი. — აქ მეგობრულად შრომობენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, ესტონელები, სომხები, ბელორუსები, ოსები, ტაჯიკები და მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები"...

კომბინატის საამქროთა მრავალეროვანი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის თავდადებით მუშაობენ რუსი მხარშავი ნ. ივანოვი, ოსი ქვეოსტატი ვ. გოგიჩაევი, უკრაინელი მხატვარი გ. სპერანსკაია, ლაბორანტი ლ. თულაშვილი და სხვ.

გაზეთ „სტალინელის" რედაქცია ხალხთა მეგობრობის მნიშვნელოვანი თემის ღრმად გაშუქებისათვის იყენებს მრავალფეროვან საგაზეთო ჟანრს — ინფორმაციებს, მშრომელთა წერილებს, კრიტიკულ კორესპონდენციებს, ნარკვევებს. ასეთი მასალების გამოქვეყნებით გაზეთი მშრომელებს უნერგავს სოციალისტური სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულს, ზრდის მათ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

## სოფლის ამბები

### „ალაზნის განთიადის" პირველი ნომერი

თელავი. (საკ. კორ.). ხუთ მაისს — საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს გამოვიდა სოფელ კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის ორგანოს მრავალტირაჟიანი გაზეთის „ალაზნის განთიადის" პირველი ნომერი.

გაზეთის მოწინავე სტატია მიძღვნილია საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი. პირველ გვერდზე დაბეჭდილია სურათი — ვ. ი. ლენინი კითხულობს გაზეთ „პრავდას". გამოქვეყნებულია აგრეთვე მისალმებანი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

გაზეთის მეორე გვერდი დათმობილი აქვს კოლმეურნეობის ცხოვრების ამსახველ მასალებს.

გაზეთი ათ დღეში ერთხელ გამოვა.

### ახალი აფთიაქი

სადმელის სოფლის მცხოვრებთა და მუშა-მოსამსახურეთა უკეთ მომსახურების მიზნით ამბროლაურის რაიონული ცენტრის აფთიაქმა სოფელ სადმელში გახსნა აფთიაქი, რომელიც მოემსახურება 500-მდე მცხოვრებს. აფთიაქი უზრუნველყოფილია სათანადო მედიკამენტებით.

(„კომუნისტის" კორ.).

### მაღალმთიანი სოფლის ბიბლიოთეკა

ჩოხატაურის რაიონის მთიან სოფელ ზოტში უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურული მომსახურება — კინოფილმების ჩვენება, მხატვრული საღამოების მოწყობა და სხვ. კლუბი და ბიბლიოთეკა სოფლის მშრომელთა საყვარელ ადგილს წარმოადგენს. აქ ხშირად ეწყობა მკითხველთა შეკრება, კითხვა-პასუხის საღამოები. ამ დღეებში სოფლის კლუბთან არსებულმა ბიბლიოთეკამ მოაწყო მკითხველთა კონფერენცია. მოხსენება — „1905 წლის რევოლუცია და ქართული მხატვრული ლიტერატურა" — წაიკითხა ბიბლიოთეკის გამგემ ო. ქათამაძემ. (საკ. კორ.).

### აშენებენ მენახეობსა და ხეხილის ბაღებს

ლენტეხის რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში მშვენივრად ხარობს ვაზი. კარგი მოსავლის პირობებში კოლმეურნეობები საშუალოდ ერთ ჰექტარ ვენახის ფართობზე 50-55 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

რცხმელურის, ყვედრეშის, მელურის, ბაბილისა და ლექსურას კოლმეურნეობებში 3,5 ჰექტარზე აშენებენ ოჯალეშის, პინოსა და ცხვედიანის თეთრას ჯიშის ვაზს.

შედარებით უფრო მაღალი ზონის კოლმეურნეობები 10 ჰექტარ ხეხილის ბაღს გააშენებენ, ხოლო ალპური ზონის სოფლებში უშგულში, ცანში, ბავარში და ღობ-ნაცულში გამოცდის მიზნით რგავენ მიჩურინის ყინვაგამძლე ჯიშის ვაშლს. (საკ. კორ.).

## დღეს გუმათჰესის მშენებლობაზე



რიონის კასკადს, რომელიც ამჟამად ორ ობიექტს — რიონჰესსა და გუმათის მეორე ჰესს აერთიანებს, მალე ახალი ჰიდროელექტროსადგურები შეემატება. ერთი მათგანია გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგური, რომლის მშენებლობა ახლა ფართო ფრონტით არის გაშლილი.

პირველი გუმათჰესის მშენებლები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ლაჯანურჰესის მშენებლებთან და სასახელოდ ანაღდებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მათი მორიგი გამარჯვება იყო კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრება და მდინარე რიონის ძველ კალაპოტში გადაგდება. ეს დიდი და რთული სამუშაო მშენებლებმა ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულეს.

ახლა გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ყველაზე მთავარი და გადამწყვეტია საგენერატორო შენობისა და სადერივაციო არხის გარდამავალი უბნის სამშენებლო სამუშაოთა დამთავრება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგენერატორო შენობისათვის ქვაბულის გამზადება. მშენებელთა ვალდებულებაა „მშენებლის დღისათვის" (11 აგვისტო) დაამთავრონ საგენერატორო შენობის საძირკვლის ამოყვანა სპირალურ კამერებამდე, შემწოვი მილების დამონტაჟებით; ამავე დღისათვის დაამთავრონ აგრეთვე კაშხალის მარცხენა ყრუ ნაწილის აგება და სადერივაციო არხის გარდამავალი უბნის მშენებლობა.

ჰიდროელექტროსადგურის ორივე სამშენებლო უბანი (უფროსები თ. ქოქოსაძე და გ. გვანცელაძე) დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებენ. ყოველივე, რაც აქ კეთდება, ამავე მშენებლობაზე დაოსტატებული ჰიდროენერგომშენებლების შრომითი შემოქმედების შედეგია. ყოფილმა კოლმეურნეებმა წარმატებით აითვისეს ახალი პროფესიები, კვალიფიციური მშენებლები გახდნენ. მშენებლობაზე ბევრი ახალგაზრდა ინჟინერი და ტექნიკოსი დაწინაურდა. პირველი სამშენებლო უბნის უფროსი თამაზ ქოქოსაძე წინათ სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა; გივი შელიამ ცვლის ოსტატად დაიწყო მუშაობა, ხოლო ახლა უბნის უფროს სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობს. ასეთივე გზა განვლო ივანე ჩიხლაძემ, ხოლო რომან მენაღარიშვილი, რომელიც წინათ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა, ახლა ამავე სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილეა.

მშენებელთა მრავალეროვან კოლექტივში ასობით მოწინავე ადამიანია. მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც ა. კილაბერია ხელმძღვანელობს და რომელშიც სახელოვანი მებეტონეები კ. ხანაძე, ალ. ნარიკოვი და ა. მიქელაძე შედიან, ყოველდღიურ დავალებას 160-170 პროცენტით ანაღდებს. ასევე გამოიჩინეს თავი შ. ბერაიას მეყალიბეთა და ივ. ზიაბკინის მეარმატურეთა ბრიგადებმა. მთელ მშენებლობაზე სახელმოხვეჭილია ო. დიულგაროვის კომპლექსური ბრიგადა, რომელიც მებეტონეების, მბურღავებისა და ამფეთქებლებისაგან შედგება. კარგად მუშაობენ გამოცდილი მებეტონეები კ. კლდიაშვილი და ო. გაბისოვი, მბურღავი ი. ჭელიძე.

მექანიზატორები [illegible] ძალას წარმოადგენენ მშენებლობაზე. ეს [illegible] კიდევ ცხადყო მდინარე რიონის ძველ კალაპოტში გადაგდებისას შესრულებულმა ოპერაციებმა. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ერთი კვირის განმავლობაში მეექსკავატორეებმა, მებულდოზერეებმა და ავტომანქანის მძღოლებმა 50 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს. დროებითი ზღუდარების დაშლასა და გადატანაზე მაღალნაყოფიერად იმუშავეს მეექსკავატორეებმა ი. დებელამ, ნ. გუტაროვმა, ვ. შიპოტინმა, ნ. ტილიუენკომ, ნ. გარიპოკინმა, მებულდოზერეებმა გრ. ჩარჩიანმა, ა. კოტონინმა, ნ. გუდიმამ და ვ. ტარასენკომ.

გუმათჰესის მშენებელთა კოლექტივი (მშენებლობის უფროსი გ. ბოლქვაძე, პარტბიუროს მდივანი ვ. სვანიძე) თვითდამშვიდებას როდი ეძლევა. მშენებელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა დაწესებული ვადისათვის აამუშაონ ეს ჰიდროელექტროსადგური.

შ. ჯაჯახაძე,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

## საპირველმაისო კინოჟურნალი

რესპუბლიკის დედაქალაქის ეკრანებზე უჩვენებენ თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალ კინოჟურნალს „საბჭოთა საქართველო" № 15, რომელიც მთლიანად მიძღვნილია საპირველმაისო სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის ასახვისადმი.

ეკრანზე მოჩანს საზეიმოდ მორთული ლენინის მოედანი. საათის ისარი აჩვენებს 10-ს. იწყება სამხედრო პარადი. მეომრები ეკრანზე შეცვალა პიონერთა კოლონებმა, რომლებიც, თეთრი ტანსაცმლით გამოწყობილნი, ყვავილნარით გაიშალნენ ტრიბუნის წინ. ცეკვა-თამაშით მოდიან ნორჩები, ყველგან გაისმის მათი მხიარული სიმღერა. აი ტრიბუნასთან გამოჩნდნენ საქართველოს სპორტსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, რომლებმაც არაერთხელ დაიცვეს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება საკავშირო და მსოფლიო სპორტულ ასპარეზობაზე.

დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ეკრანზე მოჩანან ლენინის რაიონის მშრომელები, მოსწავლეები. სხვადასხვა ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი ახალგაზრდები მხიარული სიმღერით ჩაუვლიან ტრიბუნას. კადრები ასახავენ სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, კალინინისა და ქალაქის სხვა რაიონების მშრომელთა საზეიმო სვლას.

ჟურნალის დასასრულს გადაღებულია სადღესასწაულოდ მორთული თბილისი ღამით, როდესაც ქუჩები გაჩირაღდნდა უამრავი ფერადი ნათურით.

საპირველმაისო კინოჟურნალის ავტორებმა რეჟისორმა ვ. ალავიძემ, ოპერატორებმა ა. აჯიბეგაშვილმა, ი. ამასიისკიმ, ო. დეკანოსიძემ, გ. კრეპსმა, ვ. კურიანმა, ზ. მაჩაიძემ, ნ. ნაგორნამ, ა. პოლოსოვმა და ა. სემიონოვმა დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად შეესრულებინათ ეს სურათი და დროულად მიეწოდებინათ მაყურებლისათვის.

## საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე კონკურსის შედეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ყოველწლიურად აწყობს კონკურსს საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე. 1956 წელს კონკურსზე წარდგენილი იყო 220 ნაწარმოები.

ამ დღეებში შეჯამებულ იქნა კონკურსის შედეგები. კონკურსის ჟიურიმ პირველი პრემია არც ერთ ავტორს არ მიაკუთვნა.

მეორე პრემია თვითეულს 10.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნათ ქ. ქუჩუკაშვილს მოთხრობისათვის „ბიჭები" და კ. დევდარიანს მოთხრობისათვის „დაცრემლილი სიყურე".

მესამე პრემია თვითეულს 5.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნათ: ე. გოგოლაშვილს მოთხრობისათვის „ერთი შეხვედრა", ნ. დუმბაძეს პოემისათვის „მანანას თვალებით", მ. თომაძეს მოთხრობისათვის „ოქროს ბურბუშელა", ე. ყიფიანს მოთხრობისათვის „ათფურცლიანი რვეულები" და ლ. ჭიჭინაძეს მოთხრობისათვის „ძმობილები". (საქტესი).

## ჭრა-კერვის წრე

სტალინირის საქალაქო კულტურის სახლთან 9 წელია არსებობს ჭრა-კერვის შემსწავლელი წრე, რომელმაც დღემდე 500-ზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვა. ბევრი მათგანი ამჟამად თვითონ ხელმძღვანელობს ჭრა-კერვის შემსწავლელ წრეებს, მუშაობს ატელიეში, სამკერვალო საამქროებში. ამჟამად წრეში გაერთიანებულია 60 მსმენელი. მას ხელმძღვანელობენ ჭრა-კერვის სპეციალისტები მარგო ჩოჩიევა და ანასტასია ხეთაგუროვა. („კომუნისტის" კორ.).

საერთაშორისო თემაზე

# პოლიტიკური მდგომარეობა ინდონეზიაში

მიმდინარე წლის 14 მარტს ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ალი სასტროამიჯოიომ მანდატი დაუბრუნა პრეზიდენტ ახმედ სუკარნოს. ინდონეზიის მთავრობა გადადგა იმ მომენტში, როცა ქვეყანას დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა.

იმავე დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ ინდონეზიის ტერიტორიაზე საგანგებო წესები გამოაცხადა და მთელი ძალაუფლება ხელში აიღო. ამასთან სუკარნომ რადიოში სიტყვით მიმართა ინდონეზიის ხალხს და ინდონეზიის შეიარაღებულ ძალებს.

საგანგებო წესების შესახებ პრეზიდენტის მიერ გამოქვეყნებული კანონის დანიშნულება ის არის, რომ ინიციატივა ისევ აღმოჩნდეს ცენტრალური მთავრობის ხელში, რათა მალე აღდგეს ნორმალური მდგომარეობა.

15-20 მარტს ჯაკარტაში მიმდინარეობდა ინდონეზიის სახმელეთო არმიის უფროს მეთაურთა კონფერენცია არმიის შტაბის უფროსის ნასუტიონის მეთაურობით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა პრეზიდენტი სუკარნო. ამ კონფერენციის მთავარი მიზანი იყო საგანგებო წესების კანონის შესრულების ღონისძიებათა გამომუშავება.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — დროებით, საგანგებო წესების გამოცხადებასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნას სამხედრო გენერალ-გუბერნატორების თანამდებობა (ინდონეზია დაყოფილია შვიდ სამხედრო ოლქად).

ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით პრეზიდენტმა სუკარნომ წამოაყენა მმართველობის რეორგანიზაციის ახალი პროგრამა: 1) შეიქმნას ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელიც იმოქმედებს კოლექტივიზმის საფუძველზე; 2) შეიქმნას ეროვნული საბჭო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისაგან, რომელიც მთავრობას დააკავშირებს ხალხთან.

სუკარნოს ეს პროგრამა მიმართულია ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისაკენ, არამედ მისი ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენაც.

პრეზიდენტის ამ პროგრამას ინდონეზიის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა.

ინდონეზიის ეროვნულმა პარტიამ, კომუნისტურმა პარტიამ, ასევე ინდონეზიის მემარჯვენე პარტიების — მაშუმის, მუსლიმანური კავშირისა და ქრისტიანული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წინადადება წამოაყენეს მხარი დაუჭირონ სუკარნოს პროგრამას. მაგრამ პარტია მაშუმისა და ნაჰდატულ ულამის ხელმძღვანელობამ და მემარჯვენე სოციალისტებმა კატეგორიული უარი განაცხადეს სუკარნოს პროგრამის განხორციელებაზე. მათ უარი თქვეს ეროვნული ერთიანობის მთავრობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან არა სურთ ითანამშრომლონ კომუნისტურ პარტიასთან.

სუკარნოს ზემოხსენებული პროგრამის ჩაშლის მიზნით რეაქციულმა ძალებმა ინდონეზიის მთელ რიგ რაიონებში მოაწყეს ახალი ამბოხებები.

რით იყო გამოწვეული ინდონეზიაში ეს არეულობა? სად არის მისი წყარო?

ინდონეზიური ანდაზა ამბობს, თუ სოფელში თხა დაიკარგა, ტყეში ვეფხვი ეძებეო. ინდონეზიის არეულობაში ფარულად მოქმედი მტრის ხელი ჩანს.

ამას წინათ ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი", სადაც ლაპარაკია იმ ძირგამომთხრელ მოქმედებაზე, რომელსაც ეწევიან ინდონეზიაში უცხოელი იმპერიალისტები. წიგნში მოყვანილია იმის დამაჯერებელი მაგალითები, თუ როგორ ამზადებდნენ და აწყობდნენ წლების განმავლობაში ინდონეზიის სხვადასხვა რაიონში ამბოხებებს იმპერიალისტური ძალები.

უცხოელი იმპერიალისტების ძირგამომთხრელ მოქმედებას ინდონეზიაში ადგილი აქვს რესპუბლიკის გამოცხადების დღიდანვე — 1945 წლიდან. იმპერიალისტები ხელს უშლიან ინდონეზიის მთელი ტერიტორიის გაერთიანებას რესპუბლიკის ფარგლებში. ცნობილია, რომ ახალი გვინეის დასავლეთი ნაწილი — დასავლეთი ირიანი დღემდე ჰოლანდიელ კოლონიზატორთა ხელშია.

ინდონეზიაში არსებობს ჰოლანდიის რამდენიმე ფარული ორგანიზაცია: „ნიდერლანდის ინდოეთის პარტიზანული ორგანიზაცია", „თეთრი აჩრდილი" და სხვ. ეს ორგანიზაციები შედგებიან უმთავრესად ჰოლანდიის კოლონიური არმიის ყოფილი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან. ამ ორგანიზაციების სულისჩამდგმელი იყო ჰოლანდიის სამხედრო მისია, რომელიც თავის დროზე ოფიციალურად ეხმარებოდა ინდონეზიის მთავრობას ადგილობრივი არმიის შექმნაში.

1950 წლის იანვარში ერთ-ერთ ამბოხებას სათავეში იდგა ჰოლანდიის არმიის დემობილიზებული კაპიტანი ვესტერლინგი. ამ ამბოხების მიზანი იყო დასავლეთ იავის დაკავება და აქედან მთელ ინდონეზიაზე ამბოხებულთა ძალაუფლების გავრცელება. ჰოლანდიელი იმპერიალისტების ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ვესტერლინგმა გაქცევით უშველა თავს.

ჰოლანდიელი ჯაშუშების მეორე ჯგუფმა იუნგშლაგერის მეთაურობით მთელი რიგი შეიარაღებული გამოსვლები მოაწყო აღმოსავლეთ ინდონეზიაში. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო უცხოეთის აგენტების მოქმედებამ სამხრეთ მოლუკის კუნძულებზე. 1950 წლის აპრილში აქ მოხდა ამბოხება, რომლის დროს ამბოხებულებმა გამოაცხადეს „სამხრეთ მოლუკის რესპუბლიკა". ინდონეზიის რესპუბლიკის ჯარებმა მალე მოუღეს ბოლო ამ რაიონში უცხოეთის აგენტების მოქმედებას, მაგრამ შეიარაღებული ბანდები აქედან ქვეყნის სხვადასხვა რაიონში გაითანტნენ.

ინდონეზიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს იმპერიალისტური ბანდა — „დარ-ულ-ისლამი", რომლის მიზანია ინდონეზიაში თეოკრატიული ისლამური ხელისუფლების შექმნა. იგი დაკავშირებულია ამერიკისა და ჰოლანდიის იმპერიალისტურ წრეებთან.

იმპერიალისტური ძალები უკმაყოფილო არიან იმ პროგრესული გარდაქმნებით, რომლებიც ინდონეზიაში ხორციელდება. ცნობილია, რომ 1955 წლის სექტემბერში ინდონეზიაში პარლამენტის არჩევნების დროს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს დემოკრატიულმა ძალებმა.

1956 წლის მარტში ახალი მთავრობა შეადგინა ეროვნული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ალი სასტროამიჯოიომ. ამ მთავრობაში შევიდნენ ეროვნული პარტიის, მაშუმისა და ნაჰდატულ ულამის მუსლიმანური პარტიის წარმომადგენლები. ამ მთავრობის მიზანი იყო რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების განმტკიცება, ქვეყნის ეკონომიკის განთავისუფლება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან და საკუთარი ეკონომიკის განვითარება. ხალხის მასები ამ ღონისძიებებს მხარს უჭერდნენ. პარლამენტი იღებდა გადაწყვეტილებებს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება ძნელი ხდებოდა.

უკანასკნელ პერიოდში იმპერიალისტურმა ძალებმა აშკარად დაიწყეს მოქმედება. მათ მოაწყეს შეიარაღებული გამოსვლები ცენტრალური მთავრობის დამხობისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ცალკე ნაწილებად დაქუცმაცების მიზნით. როცა პოლკოვნიკ ლუბისის ამბოხება ჩაიშალა, გასული წლის დეკემბერში პოდპოლკოვნიკმა ჰუსეინმა, პოლკოვნიკმა სიმბოლონმა სხვადასხვა დროს ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში ცენტრალურ და ჩრდილოეთ სუმატრაზე. მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში ორი სამხედრო ოლქის სარდლებმა მოაწყეს სამხედრო გადატრიალება კუნძულებზე სულავესისა და სამხრეთ სუმატრაზე. როცა მთავრობამ მიიღო მკაცრი ზომები ამ სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ, მაშუმის პარტიამ მთავრობიდან გამოიწვია თავისი წარმომადგენელი მინისტრები. ასე შეიქმნა მთავრობის კრიზისი.

უდავოა, რომ ინდონეზიაში ძირგამომთხრელ მოქმედებას ხელს უწყობენ იმპერიალისტური ქვეყნები. ინდონეზიის პრესის ცნობით, გასულ წელს ამერიკის დაზვერვის მეთაურის ალენ დალესის ინდონეზიაში ჩასვლა უშუალოდ დაკავშირებული იყო პოლკოვნიკ ლუბისის ამბოხებასთან.

მეორე დალესმა — ჯონ ფოსტერ დალესმა ინდონეზიის საკითხი ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში სეატოს საბჭოს ამასწინანდელი სესიის მსჯელობის საგანი გახადა. ინდონეზია სეატოს წევრი არ არის. ამიტომ ამ ორგანიზაციას უფლება არ ჰქონდა განეხილა მისი არაწევრი სახელმწიფოს ამბები. შემთხვევითი როდია, რომ სეატოს საბჭოს სესიას დაემთხვა სეპარატისტული გამოსვლები ინდონეზიის პროვინციებში.

ჯონ ფოსტერ დალესის აზრით ინდონეზია სეატოს გავლენის რაიონში მდებარეობს. ამიტომ იგი ცდილობს ან შეიყვანოს ინდონეზია ამ ბლოკში ან შინაგანი არეულობის გზით შექმნას ინდონეზიაში თავისთვის სასურველი მთავრობა.

ამერიკელი იმპერიალისტების ასეთი ნაბიჯები აღშფოთებას იწვევს ინდონეზიის მოსახლეობაში.

15 მარტს პრეზიდენტმა სუკარნომ მთავრობის შექმნა დაავალა ინდონეზიის ეროვნული პარტიის თავმჯდომარეს სუვირიოს. იმავე დღეს სუკარნომ სხვა პარტიათა შორის კომუნისტური პარტიის დელეგაციაც მიიღო. კომპარტიის დელეგაციამ ასე დააყენა საკითხი: კომპარტია არ მოითხოვს მთავრობაში შესვლას, თუ მასში შევლენ მხოლოდ ეროვნული პარტია და ნაჰდატულ ულამის მუსლიმანური პარტია. მაგრამ თუ მთავრობაში შევა პარტია მაშუმი, მაშინ კომპარტია მოითხოვს ურთიერთ თანამშრომლობის მთავრობის შექმნას სუკარნოს პროგრამის მიხედვით და მასში შესვლას.

სუვირიოს ცდას შეექმნა მთავრობა წარმატება არ მოჰყვა. ამას ხელი შეუშალეს განსაკუთრებით მუსლიმანურმა პარტიებმა — მაშუმმა და ნაჰდატულ ულამამ.

შეუძლებელი გახდა მთავრობის შექმნა რამდენიმე პარტიის კოალიციის საფუძველზე, თვითონ პრეზიდენტმა სუკარნომ 8 აპრილს შეადგინა პარლამენტგარეშე საგანგებო „საქმიანი კაბინეტი", სადაც პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტი უჭირავს უპარტიო ჯუანდას. ეს არის მე-17 მთავრობა ინდონეზიაში 1945 წლიდან. ჯუანდას მთავრობის მიზანია შერყეული პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება.

საგანგებო „საქმიანი კაბინეტი" იმოქმედებს პარლამენტის სანქციის გარეშე; იგი არ შეიძლება გადაყენებულ იქნას პარლამენტის გადაწყვეტილებით. 9 მაისს პრეზიდენტ სუკარნოსა და პრემიერ-მინისტრ ჯუანდას ხელმოწერით გამოქვეყნდა საგანგებო კანონი ინდონეზიის ეროვნული საბჭოს შექმნის შესახებ.

ინდონეზიაში შექმნილი ვითარება მოითხოვს ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებას, რათა ბოლო მოეღოს იმპერიალისტების ძირგამომთხრელ მოქმედებას და საშუალება მიეცეს ინდონეზიის მოსახლეობას შექმნას თავისი მომავალი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას სურს. ამისათვის საჭიროა ინდონეზიის რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ბრძოლა ყოველგვარი სეპარატიზმის წინააღმდეგ. ინდონეზიის გაზეთი „ჰარიან რაკიათი" სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „სახელმწიფოს დიდი საშიშროება ემუქრება. ამჟამად უმთავრესი პრობლემაა — მთელი ძალების მობილიზაცია, რათა პატრიოტიზმმა გაიმარჯვოს პროვინციალიზმზე, ერთიანობამ — სეპარატიზმზე".

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოვდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის. მიმდინარე წლის 6 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. ე. ვოროშილოვი ინდონეზიაში ჩავიდა, როგორც სახელმწიფო სტუმარი მეგობრული საპასუხო ვიზიტით პრეზიდენტ სუკარნოს მიწვევით. იქვე გარკვეულია, რომ ამხ. კ. ე. ვოროშილოვის ვიზიტი ინდონეზიაში ისევე, როგორც პრეზიდენტ სუკარნოს ამასწინანდელი ვიზიტი სსრ კავშირში, ხელს შეუწყობს ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას.

დოცენტი ი. ტაბაღუა.

# კ. ე. ვოროშილოვი ინდონეზიაში

**სურაბაია, 15 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.).** დღეს დილით ინდონეზიაში ყოფნის მე-10 დღეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან სუკარნოსთან და მათ თანმხლებ პირებთან ერთად კუნძულ ბალიდან გაფრინდა სურაბაიაში—აღმოსავლეთ იავის დიდ სამრეწველო და სანავსადგურო ქალაქში. გადაუარა რა ბრომოსა და სემერუს ვულკანებს, მადურის სრუტეს, თვითმფრინავი დაეშვა პერაკის აეროდრომზე, სადაც სტუმარს ელოდნენ აღმოსავლეთ იავის გუბერნატორი სამადიკუნი, მე-5 სამხედრო ოლქის სარდალი პოლკოვნიკი სარდინი, სურაბაიის მერი ისტიჯაბი, მოსახლეობის ათასობით წარმომადგენელნი.

გაისმის საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები. კ. ე. ვოროშილოვმა და პრეზიდენტმა სუკარნომ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს, ხოლო შემდეგ მზით განათებული ქუჩებით მისალმებათა გუგუნში ავტომობილით გაემართნენ ქალაქის მოედნისაკენ, რომელიც დროშებით იყო დაფარული.

11.00 საათზე მოედანზე მერის მისასალმებელი სიტყვით დაიწყო გრანდიოზული მიტინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ერთი მილიონი კაცი. მიტინგის მონაწილენი ტრიბუნაზე კ. ე. ვოროშილოვისა და პრეზიდენტ სუკარნოს გამოჩენას შეხვდნენ ერთსულოვანი ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა და დაცხრა მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა აიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

სუკარნომ თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის პროგრამა გადატვირთულია, ჩემს მეგობარს კ. ე. ვოროშილოვს არ შეეძლო არ ჩამოსულიყო სურაბაიაში, რომელიც რევოლუციური ინდონეზიის სულია.

თავისი გამოსვლის დასასრულს, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს მოწონების შეძახილებით, პრეზიდენტმა სუკარნომ სიტყვა მისცა კ. ე. ვოროშილოვს.

კ. ე. ვოროშილოვს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

ხშირად გაისმოდა შეძახილები „ხიდუპ". დასასრულ მიტინგის მონაწილეებმა იმღერეს ეროვნული ჰიმნი — „ინდონეზია რაია".

დღეს 16 საათსა და 10 წუთზე იავის დროით კ. ე. ვოროშილოვი და პრეზიდენტი სუკარნო ჩავიდნენ ჯაკარტაში თვითმფრინავით, რომელიც საბჭოთა მთავრობამ აჩუქა პრეზიდენტს და რომელსაც აქ უწოდეს „დოლოკ მარტიმბანგი" (მარტიმბანგის მთის სახელწოდებასთან დაკავშირებულია ლეგენდა, რომელიც ერთიანობისაკენ მოუწოდებს).

# ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის განცხადება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კ. ე. ვოროშილოვის მომავალი ვიზიტის გამო

**ხანოი, 15 მაისი. (საქდესი).** როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დღეს ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მიესალმება „ვიეტნამელი ხალხის ძვირფასი და პატივცემული სტუმრის", სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მომავალ ვიზიტს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

„პრეზიდენტ კ. ე. ვოროშილოვის ყოფნა ვიეტნამში, ნათქვამია განცხადებაში, ამჟამად არათუ კიდევ უფრო გააღრმავებს ვიეტნამელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო მეგობრობას, არამედ აგრეთვე განამტკიცებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობას — საერთაშორისო მშვიდობისა და დემოკრატიის მტკიცე ბურჯს".

# ცეილონის პრემიერ-მინისტრის განცხადება

**პარიზი, 15 მაისი. (საქდესი).** როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კოლომბოდან იუწყება, ცეილონის პრემიერ-მინისტრმა სოლომონ ბანდარანაიკემ მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი ქვეყნები ყურადღებას არ აქცევენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მეტი ნაწილის პროტესტებს ატომგულის ბომბის გამოცდის წინააღმდეგ.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში, მხარი დაუჭირა რა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს და სხვათა პოზიციას, რომლებმაც დაგმეს ეს გამოცდები, ბანდარანაიკემ გამოთქვა რწმენა, რომ საზოგადოებრიობა, ეჭვი არ არის, მოახდენს ერთგვარ გავლენას ამ საკითხის გადაჭრაზე. „ნამდვილი გამოსვლა იმ მდგომარეობიდან, — თქვა მან, — რომელიც იწვევს ასეთი იარაღის გამოცდას, მსოფლიოს ქვეყნებისაგან მოითხოვს მიიღონ თანაარსებობის პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობს ზოგიერთი ქვეყანა".

# ვილსონის განცხადება

**ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საქდესი).** ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ვილსონმა, რომელიც ტეხასისა და ლუიზიანის შტატებში მოგზაურობიდან დაბრუნდა, ვაშინგტონის აეროპორტში კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად განიხილავენ საკითხს სამხრეთ კორეაში საარტილერიო ყუმბარების გაგზავნის შესახებ, რომლებიც შეიძლება დაიმუხტოს ატომგულით. ვილსონმა, სააგენტოს სიტყვით, აღნიშნა, რომ ეს საკითხი „განხილულ იქნა უშიშროების ეროვნული საბჭოს სხდომებზე" და მას „იმედი აქვს, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება დაუყოვნებლივ".

# ინგლისის ატომგულის იარაღის გამოცდა

**ლონდონი, 16 მაისი. (საქდესი).** გუშინ საღამოს ინგლისის მომარაგების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გუშინ წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში მოხდა ინგლისის ატომგულის იარაღის გამოცდა.

# უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარზე გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარ რედაქტორთან

**პეკინი, 15 მაისი. (საქდესი).** როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე და დიდი სათაურებით ბეჭდავენ ცნობას ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარ რედაქტორთან ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შესახებ.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" ბეჭდავს საუბრის დაწვრილებითს შინაარსს სათაურით „საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს იმ იდეას, რომ მოწვეულ იქნას დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი მაღალ დონეზე და სურს აწარმოოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რათა აღმოიფხვრას საერთაშორისო დაძაბულობა".

გაზეთი „გუანმინჟიბაო" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საშუალებაა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება.

**ვარშავა, 15 მაისი. (საქდესი).** პოლონეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარ რედაქტორთან ტ. კეტლეჯთან. დღეს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ" ბეჭდავს მოწინავე სტატიას „რეალიზმი". სტატიაში აღნიშნულია საერთაშორისო მდგომარეობის ის საკითხები, რომლებსაც ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკელ ჟურნალისტთან საუბარში შეეხო.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა, წერს გაზეთი, წამოაყენა თეზისი, რომელშიც არცერთ გონიერ ადამიანს არ შეუძლია არ დაინახოს საერთაშორისო მდგომარეობის კეთილგონიერი და რეალური შეფასება. მშვიდობის ბედი, საერთაშორისო მდგომარეობის ჩამოყალიბება, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ორ დიდ სახელმწიფოზე — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. თუ ეს ორი სახელმწიფო, რომლებსაც ამჟამად უდიდესი სამრეწველო პოტენციალი, აგრეთვე უძლიერესი იარაღი აქვთ, მიაღწევენ რაიმე, თუნდაც ნაწილობრივ, შეთანხმებას, მაშინ მსოფლიოს ყველა ქვეყანა უდიდესი შვებით შეხედავს მომავალს.

საბჭოთა კავშირს დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთ გზად, განაგრძობს გაზეთი, მიაჩნია ამ სახელმწიფოთა წამყვანი პოლიტიკოსების შეხვედრა. ასეთ შეხვედრას შეუძლია უთუოდ დადებითი შედეგები მოიტანოს. თუ დედამიწაზე უნდა ბატონობდეს მშვიდობა, უნდა გაიმარჯვოს პოლიტიკურმა რეალიზმმა საერთაშორისო ურთიერთობაში. თავის საუბარში ხრუშჩოვმა გვიჩვენა ასეთი რეალიზმის მაგალითი. გვიჩვენებს თუ არა ამ რეალიზმს სხვა მხარე?

**ბუქარესტი, 15 მაისი. (საქდესი).** კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარ რედაქტორთან კეტლეჯთან, გაზეთი „სკინტეია" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ საუბარმა მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაზეთი წერს, რომ ამჟამად აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამხანაგი ხრუშჩოვი ერთხელ კიდევ აზუსტებს დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ ლენინური იდეებიდან მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, და მხარს უჭერს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის განცხადებანი, წერს დასასრულ „სკინტეია", გამსჭვალულია არიან კეთილი ნების სულისკვეთებით — განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. ისინი ეხმარებიან ყველა ქვეყნის მშრომელებს გაიგონ მიმდინარე მოვლენათა არსი და აზრი, კიდევ უფრო ძლიერად აიარაღებენ მშრომელებს მათ ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

**სოფია, 15 მაისი. (საქდესი).** გაზეთი „ტრუდი", კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარ რედაქტორთან ტ. კეტლეჯთან, წერს: თავის პასუხში ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვებზე ხრუშჩოვმა კვლავ გამოთქვა საბჭოთა კავშირის მზადყოფნა ეძებოს საკითხების გადაწყვეტა მოლაპარაკების გზით და უმთავრესად ყველაზე მაღალ დონეზე მოლაპარაკების გზით. ყველას ახსოვს ჟენევის შეხვედრები, სადაც წარმოიშვა „ჟენევის სულისკვეთება", რომელმაც მილიონობით ადამიანს ჩაუსახა იმედი, რომ ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ და იგი თავიდან იქნება აცილებული. მას შემდეგ სსრ კავშირმა არაერთგზის წამოაყენა წინადადება მოეწყოს ახალი შეხვედრები „ჟენევის სულისკვეთებით". მან წინადადებაც კი შეიტანა დაიდოს სპეციალური ხელშეკრულება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

სამწუხაროდ, განაგრძობს გაზეთი, ამ წინადადებებს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმით უპასუხეს, რომ გააძლიერეს სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ ახალი აგრესიული ომის მზადების ტემპი. ამას სსრ კავშირმა დაუპირისპირა თავისი განუხრელი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელსაც სავსებით უჭერენ მხარს ხალხები. საჭიროა, წერს დასასრულ გაზეთი, რომ პასუხად სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ღონისძიებისა — შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა, — დასავლეთის სახელმწიფოებმა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრეთვე გამოიჩინონ კეთილი ნება.

# პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლა რადიოთი

**ვაშინგტონი, 15 მაისი. (საქდესი).** გუშინ გვიან საღამოს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ კონგრესი განიხილავს 1957-58 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

პრეზიდენტი ამართლებდა მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკას და, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო მიზნებისათვის გაბერილ ხარჯებს. მან აღიარა, რომ ამერიკელი გადასახადის გადამხდელი იხდის „მართლაც უდიდეს ფასს", რამდენადაც ბიუჯეტის პროექტით მარტო პირდაპირი სამხედრო ხარჯები გათვალისწინებულია 45 მილიარდი დოლარის ოდენობით. პრეზიდენტის სიტყვა შეიცავს აგრეთვე იმ ფაქტის აღიარებას, რომ სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს მთავრობის ხარჯების ძირითად მუხლს და არის იმის მიზეზი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტი „ასე დიდია".

სურდა რა გაემართლებინა ეს ხარჯები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ამერიკელ მშრომელებს, პრეზიდენტი ისე ხატავდა საქმეს, თითქოს გაბერილი სამხედრო ხარჯები წარმოადგენენ „უშიშროების ფასს". იგი ამტკიცებდა, რომ, იხდიან რა უდიდეს გადასახადებს, ამერიკელები ამით „თავს დაიხსნიან" საშიშროებისაგან, რომელიც თითქოს მოელის მათ და ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროს" (ე. ი. კაპიტალისტურ ქვეყნებს), ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებაზე და სხვ.

პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ „გონივრული არ იქნებოდა სამხედრო ხარჯების შემცირება" და რომ მას „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთოს", რათა ამერიკის შეერთებული შტატები „არ წავიდნენ ამ მცდარი გზით". დაიმოწმა რა შეიარაღების ღირებულების ზრდა, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ მიაღწევენ „ერთგვარ პროგრესს თავიანთ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია უზრუნველყონ ეფექტიანი შეთანხმება შეიარაღების შეზღუდვის შესახებ", სამხედრო ხარჯებს „წლითიწლობით ზრდის ტენდენცია ექნება".

ეიზენჰაუერი ქებასასხამდა უცხო სახელმწიფოებისადმი ეგრეთწოდებული „დახმარების" პროგრამას და, განსაკუთრებით, ამ პროგრამის სამხედრო ნაწილს. მან ფაქტიურად აღიარა, რომ ამ პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იყენებს იმისათვის, რომ იყიდოს საზარბაზნე ხორცი სხვა ქვეყნებში. პრეზიდენტმა კვეხნით განაცხადა, რომ პროგრამა საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეინახონ სხვა ქვეყნების სახმელეთო ძალები, რომლებიც „ერთიხუთად" აღემატებიან ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, დაახლოებით იმდენივე თვითმფრინავი, რამდენიც მოეპოვებათ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, და თითქმის ორჯერ მეტი სამხედრო-საზღვაო ძალები.

შემდეგ ეიზენჰაუერმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იძულებულია 7 მილიარდი დოლარი ხარჯოს მიმდინარე გადასახდელებზე სახელმწიფო ვალის ანგარიშში, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოწვეულია დიდი სამხედრო ასიგნობებით მრავალი წლის მანძილზე.

გამოვიდა რა ომის მზადების ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგ, პრეზიდენტმა აღიარა, რომ „ნამდვილი მშვიდობის პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ დაზოგონ 10-ჯერ მეტი სახსრები", ვიდრე დიდი სამხედრო ხარჯების პირობებში. შემდეგ იგი ამტკიცებდა, რომ ახლანდელი უზარმაზარი სამხედრო ხარჯები თითქოს წარმოადგენენ ასეთი დღის „მოახლოების" საშუალებას.

იცავდა რა „მშვიდობის მიღწევის" პოლიტიკას, პრეზიდენტმა ამავე დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს პოლიტიკა უნდა აწარმოონ „აგრესიულად", გამოიყენონ თავიანთი დიპლომატიური საშუალებანი, პროპაგანდა, უცხო სახელმწიფოებისადმი „დახმარების" პროგრამა. იგი მოუწოდებდა გაგრძელდეს ზემოქმედება ამერიკის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

დასასრულ ეიზენჰაუერმა განაცხადა: „ნაპატიო მშვიდობის შენარჩუნების პერსპექტივები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ მე არ მოველი უახლოეს დროში საერთაშორისო დაძაბულობის არავითარ შენელებას, რომელიც ამჟამად გახდებოდეს საფუძველი ამ პროგრამის მნიშვნელოვანი შემცირებისათვის..."

# ამერიკელები სამხედრო საჭურველს მიაწვდიან იუგოსლავიას

**ვაშინგტონი, 15 მაისი. (საქდესი).** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაახლებენ სამხედრო საჭურვლის, მათ შორის რეაქტიული თვითმფრინავების, მიწოდებას იუგოსლავიისათვის.

როგორც ცნობილია, ამერიკის მიერ სამხედრო საჭურვლის მიწოდება იუგოსლავიისათვის შეწყდა გასული წლის აგვისტოში.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ „დაახლოებით ექვსი თვის პერიოდში... გრძელდებოდა შეერთებულ შტატებსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ყველა ასპექტის შესწავლა და ამ საფუძველზე ამჟამად გაკეთებულია გარკვეული დასკვნები".

როგორც განცხადებაში აღნიშნულია, ამ პერიოდში მომხდარმა ამბებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაანახვა, რომ „იუგოსლავია რჩება და მტკიცედ განზრახული აქვს დარჩეს დამოუკიდებელი და რომ შეერთებული შტატების ინტერესები მოითხოვს მხარი დაუჭირონ იუგოსლავიის ამ გადაწყვეტილებას — იყოს თავისუფალი უცხოეთის კონტროლისაგან".

# გადადგა დანიის მთავრობა

**კოპენჰაგენი, 15 მაისი. (საქდესი).** დღეს დანიის პრემიერ-მინისტრმა ხ. კ. ჰანსენმა მეფეს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. გადადგომა ახალი შემადგენლობის ფოლკეტინგის (პარლამენტის) არჩევის შედეგია.

# ინდონეზიის მთავრობის განცხადება

**პეკინი, 15 მაისი. (საქდესი).** როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ინდონეზიის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს გამომჟღავნებული ცდები გამოეყენებინათ შეიარაღებული ძალები ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოებისათვის, მიზნად ისახავდნენ სახელმწიფო წყობილების შეცვლას და ინდონეზიის სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრას. მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ვერ დაუშვებს ასეთ საქმიანობას.

განცხადება შეიცავს მოწოდებას ინდონეზიელი ხალხისადმი მხარი დაუჭიროს მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფოს უშიშროების დაცვა.

გაზეთი „ჰარიან რაქიათი" მოწინავე სტატიაში მიესალმება მთავრობის ამ განცხადებას. გაზეთს მიაჩნია, რომ ამასწინანდელ დაპატიმრებებს ჯაკარტაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დაჯგუფებათა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან სახელმწიფოს წინააღმდეგ.

# ინდონეზია უარს ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების „ატომურ დახმარებაზე"

**ჯაკარტა, 15 მაისი. (საქდესი).** ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სუჯიტო კუსუმოვიდაგდომ, კომენტარი გაუკეთა რა ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მისცენ ატომური იარაღი ნეიტრალურ ქვეყნებს, მათ შორის ინდონეზიას, განაცხადა, რომ ინდონეზია არ სთხოვს ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომურ იარაღს. „ჩვენ არ გვჭირდება ატომური იარაღი, — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, — ინდონეზიას არა აქვს არავითარი აგრესიული განზრახვები რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ".

„უფრო მეტიც, — განაცხადა მან, — ინდონეზია განაგრძობს თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, ხოლო იარაღის სახით დახმარების მიღება უცხო სახელმწიფოსაგან მოასწავებს ერთ-ერთ ბლოკთან შეერთებას ცივ ომში".

ინდონეზია მოიწონებს ატომის ენერგიის გამოყენებას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით მშენებლობისათვის, კაცობრიობის უმრავლესობის ინტერესებისათვის, თქვა კუსუმოვიდაგდომ.

# იაპონიის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს

**ტოკიო, 14 მაისი. (საქდესი).** როგორც იაპონიის რადიო იუწყება, გუშინ ალმორის პრეფექტურის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა ორ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს.

მისავას ახლოს განლაგებული ამერიკელთა 38-ე ავიადივიზიის მფრინავს, 22 წლის პოულ ბელს მიესაჯა 5 წლის პატიმრობა იმისათვის, რომ მან მძიმედ დაასახიჩრა ტაქსის მძღოლი და სცადა მანქანის გატაცება. ეს დანაშაული ჩადენილია მიმდინარე წლის მარტის დამლევს.

მეორე დამნაშავეს — მისავას სამხედრო ბაზაში დისლოცირებული 753-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეს, 22 წლის სერჟანტს რონ რუზველტს მიესაჯა 2 წლისა და 6 თვის პატიმრობა იმისათვის, რომ სროლა ატეხა ადგილობრივ იაპონურ სამიკიტნოში მას შემდეგ, რაც ღვინის მიცემა შეუწყვიტეს. ეს დანაშაულიც ჩადენილია მიმდინარე წლის მარტის დამლევს.



**სოხუმი.** რკინიგზელთა პოლიკლინიკის ახალი შენობა ჭოჭუას ქუჩაზე.
ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

# პირველი წრის ფინიშთან

XIX ჩემპიონატის დაწყებიდან თვენახევარზე მეტმა ხანმა განვლო. „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები პირველი წრის ფინიშს უახლოვდებიან. მალე შეჯამებულ იქნება განვლილი ბრძოლების შედეგები.

როგორია გუნდების მდგომარეობა დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით?

წარმატებით იბრძვიან კიევის დინამოელები, რომლებმაც 8 თამაშში მხოლოდ 4 ქულა დაკარგეს. კიეველებმა უკანასკნელი 3 მატჩიდან სამივე მოიგეს და 12 ქულით გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი დაიკავეს.

ტორპედოელებმა მერვე მატჩში დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი" დიდი ანგარიშით 5:1, 11 ქულითა და ბურთების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზეა მოსკოვის „დინამო" (8 თამაშიდან 11 ქულა), მეოთხეზე — თბილისის „დინამო" (9 თამაშიდან 11 ქულა).

ათ-ათი ქულა აქვთ მოსკოვის „ლოკომოტივსა" და „სპარტაკს", რომლებიც მეხუთე და მეექვსე ადგილებზე იმყოფებიან. პირველს ჩატარებული აქვს 8 თამაში, მეორეს — 9.

სტალინოს „შახტიორს" 8 თამაშიდან 8 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. მეცხრე ადგილზე იმყოფება კიშინიოვის „ბურევესტნიკი" (9 თამაშიდან 6 ქულა), მეათეზე — ლენინგრადის „ზენიტი" (9 თამაშიდან 5 ქულა), მეთერთმეტეზე — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" (8 თამაშიდან 4 ქულა), მეთორმეტეზე — მინსკის „სპარტაკი" (8 თამაშიდან 3 ქულა).

მორიგი შეხვედრები გაიმართება 19 მაისს.

# ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

15 მაისს გაიმართა საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მერვე ტური.

გოგიავა — ფანქველაშვილის პარტიაში გაიმარჯვა გოგიავამ. გურფინკელმა დაამარცხა სტატნიკოვა. ხაჭაპურიძემ მოუგო ივანოვას, როოტარემ — ნაჭყებიას, კაკაბაძემ — ტომილინას, გაფრინდაშვილმა — ჩაიკოვსკაიას, ბელოზეროვამ — ლოლიშვილს. ბუცხრიკიძე-ტოგონიძის პარტია გადაიდო ტოგონიძისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

8 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერია გურფინკელი, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. გაფრინდაშვილს აქვს 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, კაკაბაძეს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, როოტარეს — 5,5 ქულა.

# მ. დ. რჩეულიშვილი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის განყოფილების გამგე მიხეილ დიმიტრის-ძე რჩეულიშვილი ერევნის საკავშირო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, 1956 წლის 29 ივნისს დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობა და მისი გაუმჯობესების გზები".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. დ. რჩეულიშვილისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

# მსუბუქი ტაქსები ივლიან შორეულ რეისებზე

თბილისის ავტოვაგზლიდან 53 სხვადასხვა მიმართულებით — აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ რაიონსა და სოფლებში, მოძმე რესპუბლიკებში სომხეთსა და აზერბაიჯანში — ყოველდღიურად ეწყობა 115 რეისი, ავტობუსებს მიჰყავთ 2.500 მგზავრი და ამდენივე ჩამოჰყავთ ქალაქში. ერთი თვეა, რაც გაიხსნა ავტობუსის ახალი მარშრუტი ლენინაკანი-თბილისი. ამ მიმართულებით მანქანა დადის დღეგამოშვებით.

5 მაისიდან საავტობუსო მიმოსვლა განახლდა თბილისიდან კისლოვოდსკის, გროზნოს და ორჯონიკიძის მიმართულებით. ამ დღეებში დაიწყება სამარშრუტო მსუბუქი ტაქსების მუშაობა. თბილისი-ორჯონიკიძის, თბილისი-გროზნოსა და თბილისი-კისლოვოდსკის მიმართულებით ივლის „ზიმის" მარკის 6 მსუბუქი ტაქსი.

საკურორტო სეზონთან დაკავშირებით საქართველოს კურორტებზე კოჯრის, კიკეთის, მანგლისისა და წყნეთის მიმართულებით გაძლიერდება მანქანების მოძრაობა. ზაფხულში ამ მიმართულებით გაკეთდება ერთიორად მეტი რეისი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — აიდა, **რუსთაველის სახელობის** — შემოდგომის აზნაურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **სომხური დრამის** — ოტელო, **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ველარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 21, 3 ს.), სახიფათო მიჯნასთან (აბონემენტი № 41, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ოჯახი (6 ს.), **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები (11 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

**საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმი** 18 და 19 მაისს სტალინის სახელობის სანაპიროზე, მარქსისა და ბარათაშვილის ხიდებს შუა აწყობს **სანადირო ძაღლების რესპუბლიკურ გამოფენას.**

გამოფენის დასაწყისი 18 მაისს დილის 9 საათზე.

ძაღლების ექსპერტიზა 19 მაისს დილის 9 საათიდან.

## მომხმარებლების საყურადღებოდ!

**თბილუნივერმაღის დირექციამ** ცენტრალურ მაღაზიაში მარჯანიშვილის ქ. № 7 მეორე სართულზე ვესტიბიულში გახსნა სალონი, სადაც გამოფენილია და იყიდება აბრეშუმის ქსოვილები.

ფართო ასორტიმენტით არის ნატურალური აბრეშუმის, ხელოვნური და შტაპელის ნართის ქსოვილები.

მყიდველს საშუალება ეძლევა ადვილად გაეცნოს აბრეშუმის ქსოვილთა ფართო ასორტიმენტს და დამოუკიდებლად აირჩიოს ქსოვილი თავისი გემოვნებით.

ქსოვილების არჩევის დროს მომხმარებელს შეუძლია მიიღოს რჩევა-დარიგება კონსულტანტისაგან.

მაღაზია ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე ყოველდღე, გარდა ორშაბათისა.

მოქალაქე **ლევან გრიგოლის-ძე მიჩიტაშვილმა,** მცხოვრებმა ნავთლუღის ქ. № 9, აღძრა საქმე ნავთლუღის ქ. № 19-ბ მცხოვრებ მოქალაქე **რიფსიმე არშაკის ასულ მიჩიტაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მარიამ ივანეს ასულმა ვაშაკიძემ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, რაზმაძის ქ. № 53, აღძრა საქმე მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში მცხოვრებ მოქალაქე **შალვა მათეს-ძე მამუკაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

ბათუმის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან
**ელეონორა ივანეს ასულ სიხარულიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 5 ს. ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, შაუმიანის ქ. № 10.

შვილები მარო, ვიქტორ, გაბო, ვალია, პლატონ ოჯახებით იუწყებიან
**მატრონე გაბრიელის ასულ კუპრაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 3 ს. გოგოლის ქ. 52.

მეუღლე პოლინე, რძალი არიადნა, შვილები ოლღა, ბაბუცა, აგრაფინა, ტატიანა, სიძეები შ. კობრეიძე, ჭ. გაბუნია, ვ. შათირიშვილი, ი. ფხაკაძე ოჯახებით იუწყებიან
**კირილე ევგენტეს-ძე ნამჭეიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, სოფ. ტყელვანში (ვანის რ.).

მეუღლე მარიამ, შვილები თინა, ნინო, დოლია, რძალი ნატაშა, სიძეები დ. მგალობლიშვილი, ნ. აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის
**ლეონტი დავითის-ძე ჭიპაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 6 ს. დაბა ორჯონიკიძეში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან
**მარიამ იაგორის ასულ მითაიშვილის**
გარდაცვალებას.

ნინო, იასონ, მარგო, თევდორე პატარიძეები იუწყებიან
**ნუნუ გიორგის ასულ პატარიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 3 ს. სოფ. შრომაში (გურჯაანის რ.).

შვილები ვალიკო, ლიდა, ამბროსი, გრიშა, აკაკი, რძლები მარო, თეოლინე, შურა, მარგო, სიძე ვ. კაპარავა ოჯახებით იუწყებიან
**მელანია სტეფანეს ასულ ხასაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, სოფ. გეზათში (აბაშის რ.).

მეუღლე არფო, შვილები კიმი, ჯემალ, დელანეტა, დები ნინო, თინა, მანია, ძმა ლადო, რძალი თ. შენგელია ოჯახებით; ფეფო, არტაშ პოილაროვები იუწყებიან
**დავით სიმონის-ძე მხეიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 2 ს. დურგლის ქ. № 14.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება მწერალ
**გიორგი ალექსანდრეს-ძე გაბუნიას**
გარდაცვალებას.

მეუღლე სონა, შვილები ზურაბ, ჯემალ, დარეჯან; დები დომინიკა, ნუცა, ბაბუცა, სარა; ვასო, ვალიკო ყავლაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ისმაილ ერმილეს-ძე სირაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-V, 8 ს. გამოსვენება 18-V, 6 ს. კოჩეტკოვის ქ. № 24.

მშობლები კატო, კოტე, მეუღლე აზრასია, შვილი მარინე, ძმები თენგიზ, სოსო, რძლები ნუნუ, ნინო იუწყებიან
**გიორგი კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 4 ს. სოფ. საგარეჯოში.

მეუღლე დავით, შვილები ოთარ, ვაჟა, მშობლები ნიკოლოზ, იულია, დები მარინე, ლენა, ძმა ალექსი იუწყებიან
**ოლია ნიკოლოზის ასულ ზარხოზაშვილი-ღარიბაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 6 ს. წითელი პარტიზანების ქ. № 42.

დედა ლეო, მამა ნიკიფორე; ვალერიან, ევსევი, ვლადიმერ იოსავები ოჯახებით იუწყებიან
**ჯუმბერ იოსავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, სოფ. ხობში (ხობის რ.).


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის, ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოს — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და უოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70. 2

უე 02227 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.